

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დეტალურად აღწეროს კლიენტსა და სს „ბანკი ქართუ“ (შემდგომში ბანკი) შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ურთიერთობის ძირითადი წესები და პირობები.

სს „ბანკი ქართუ“, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველადი დილერი, კლიენტებს სთავაზობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე ვაჭრობის, შენახვისა და აღრიცხვის მომსახურებას.

ტერმინთა განმარტება

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;

სახაზინო ვალდებულება - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, ვადით 1 წლამდე;

სახაზინო ობლიგაცია - ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი – ბაზარი, სადაც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა აუქციონის გზით, მათი გამოშვებისას;

კონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც მონაწილეობს აუქციონში და გამარჯვების შემთხვევაში კმაყოფილდება განაცხადში მითითებული ფასით;

არაკონკურენტული განაცხადი – განაცხადი, რომელიც არ მონაწილეობს აუქციონში და კმაყოფილდება აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით;

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი – ბაზარი, რომელზეც ხდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ბაზრის მონაწილეებსა და მათ კლიენტებს შორის;

ნომინალური ღირებულება – თანხა, რომელსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უხდის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მფლობელს დაფარვის დღეს;

შესყიდვის ფასი – თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენისას;

დისკონტის თანხა – სხვაობა სახაზინო ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებასა და შესყიდვის ფასს შორის;

კუპონი – სახაზინო ობლიგაციების ფიქსირებული სარგებელი, რომელსაც ღებულობს სახაზინო ობლიგაციის მფლობელი წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით;

შემენის დღე – აუქციონის ჩატარების დღე;

ანგარიშსწორების დღე – დღე, როდესაც ხდება აუქციონზე შემენილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასის შესაბამისი თანხის გადახდა;

დაფარვის დღე – დღე, როდესაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განაღდება;

ბანკის როლი მომხმარებელთან ურთიერთობაში

ბანკი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველადი დილერი, კლიენტებს სთავაზობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე ვაჭრობის, შენახვისა და აღრიცხვის მომსახურებას. კლიენტს აქვს შესაძლებლობა ბანკის მომსახურება გამოიყენოს და განაცხადის განთავსებით, მოითხოვოს პირველად ბაზარზე აუქციონში მონაწილეობა. ასევე, შეუძლია ბანკის მიერ, საკუთარ ვებ-გვერდზე, განთავსებული ფასიანი ქაღალდების შეძენა მეორად ბაზარზე; შემენილი ან უკვე მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა/შენახვის მომსახურების მოთხოვნა ან მათი მეორად ბაზარზე გაყიდვა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის დროს ბანკი არ მოქმედებს როგორც კლიენტის ფიდუციარი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით.

საბოლოო გადაწყვეტილებას შემენისა ან გასხვისების შესახებ იღებს კლიენტი და შედეგებზე პასუხისმგებელი არის თავად. ნებისმიერი დადებული გარიგება ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე.

კლიენტთან კომუნიკაცია

ბანკსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც ელექტრონული არხებით, ასევე ზეპირსიტყვიერად, თუმცა მოთხოვნის შესაბამისი განაცხადის განთავსება ხდება მხოლოდ ინტერნეტ ბანკის საშუალებით, შესაბამისი ფორმების გამოყენებით.

აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები, გარიგებისა და მისი შესრულების შესახებ მონაცემები, ბანკისა და კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, რომლითაც სარგებლობა შეზღუდულია, მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად და მისი გამჟღავნება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პირველად ბაზარზე აუქციონში მონაწილეობის წესები

კლიენტს შეუძლია ბანკს მისცეს დავალება, რომ მისი სახელით ბანკმა მონაწილეობა მიიღოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ აუქციონში, შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით¹.

აუქციონების გამართვის თარიღების, მოცულობებისა და ვადიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, შემდეგ მისამართზე: <https://mof.ge/5265>.

ბანკი კლიენტის დავალების აღსრულებისას მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ და კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით. სამართლიანი და გამჭვირვალე მოქმედება, მათ შორის მოიცავს გარიგების დროულ/სწრაფ აღსრულებას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტი ვალდებულია ბანკში იქონიოს ეროვნულ ვალუტაში გახსნილი მიმდინარე ანგარიში და ხელი მიუწვდებოდეს წინასწარ შეთანხმებულ კომუნიკაციის საშუალებებზე, მათ შორის საკომუნიკაციოდ განსაზღვრულ სავალდებულო არხ, ინტერნეტ ბანკზე.

კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი წინასწარ განსაზღვრული ფორმით, აუქციონის ჩატარების დღის წინა სამუშაო დღეს, საღამოს 18:00 საათამდე. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: შესაძენი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დასახელება (ISIN), ვადიანობა, რაოდენობა, სასურველი აუქციონის თარიღი და ფასი.

კლიენტს აქვს შესაძლებლობა აუქციონზე გააკეთოს კონკურენტული ან არაკონკურენტული განაცხადი. ერთი კონკურენტული განაცხადის შემთხვევაში მინიმალური მოცულობა შეადგენს 50 ერთეულს და კლიენტს აქვს შესაძლებლობა თავად მიუთითოს სასურველი შემოსავლიანობის განაკვეთი (Yield).

არაკონკურენტული განაცხადის შემთხვევაში, მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 20 ერთეულს და მისი შემოსავლიანობის განაკვეთი განისაზღვრება აუქციონზე დაფიქსირებული შემოსავლიანობის განაკვეთების საშუალოთი.

ერთი განაცხადის საშუალებით, ერთ აუქციონზე, კლიენტზე შეუძლია გააკეთოს როგორც კონკურენტული, ასევე არაკონკურენტული განაცხადები. დამატებით, შესაძლებელია კონკურენტული განაცხადების დაყოფა და სხვადასხვა შემოსავლიანობის განაკვეთების მოთხოვნა, ამ შემთხვევაშიც თითოეული განაცხადის მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმალურ 50 ერთეულს.

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულება - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1135100?publication=0>

ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მოთხოვნის მიღებასა და შესრულებაზე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

აუქციონის გამართვამდე 1 საათით ადრე კლიენტის შესაბამის მიმდინარე ანგარიშზე უნდა იყოს შესყიდვის ფასის შესაბამისი თანხა და ოპერაციის აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო საკომისიო, რომელიც დაიჯავშნება ბანკის მიერ ოპერაციის შესრულებისთვის განსაზღვრული უზრუნველყოფის სახით (ბანკი მოახდენს სრული თანხის გადატანას ოპერაციის უზრუნველყოფის ანგარიშზე). არაკონკურენტული განაცხადის წარდგენის შემთხვევაში უზრუნველყოფის სახით დაიჯავშნება შესაძენი ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულების 110%. ანგარიშზე თანხის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება.

კლიენტი აცნობიერებს, რომ აუქციონზე მონაწილეობას იღებს პირველადი ბაზრის ყველა მონაწილე მხარე, შესაბამისად, კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით, შესაძლოა განაცხადი ნაწილობრივ ან საერთოდ არ დაკმაყოფილდეს.

აუქციონის დასრულებიდან შედეგების გამოცხადებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან, არაუგვიანეს 30 წუთის განმავლობაში, კლიენტი მიიღებს სმს-სა და შეტყობინებას ინტერნეტ ბანკის საშუალებით მისი განაცხადის სტატუსისა და დაკმაყოფილებული მოცულობის შესახებ. ანგარიშსწორების დღეს ბანკი უზრუნველყოფს შესყიდვის ფასის გადარიცხვასა და ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე სხვა კლიენტების ანგარიშებისგან განცალკევებით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს მიღებული თანხის კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვას უზრუნველყოფს ბანკი, ამასთანავე, სახაზინო ობლიგაციების შემთხვევაში, ანალოგიურად მიმდინარე ანგარიშზე ჩაირიცხება შესაბამისი კუპონის განაკვეთით განსაზღვრული თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ აუქციონზე/მეორად ბაზარზე დავალებით მოთხოვნილი მოცულობა ნაწილობრივ ან საერთოდ არ დაკმაყოფილდა არაუგვიანეს იმავე სამუშაო დღის ბოლომდე უზრუნველყოფის თანხა სავალდებულო წესით დაუბრუნდება კლიენტს მიმდინარე ანგარიშზე;

ოპერაცია	ოპერაციის განხორციელების სავარაუდო დრო
მიღებული განაცხადის ბანკის მიერ დადასტურება	შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 30 წუთი
განაცხადის შესაბამისი მოთხოვნის აუქციონზე განთავსება	აუქციონის დაწყებიდან 15 წუთი
აუქციონის შედეგების შეტყობინება	აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთი
კლიენტის მოთხოვნით განაცხადის გაუქმების მიზეზით უზრუნველყოფის ანგარიშიდან თანხის უკან დაბრუნება	შესაბამისი განაცხადის ბანკის მიერ დადასტურებიდან 15 წუთი

აუქციონის შედეგების გამოცხადების შემდეგ განაცხადის შეუსრულებელ ნაწილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაშთის უკან დაბრუნება	აუქციონის ჩატარების დღეს არაუგვიანეს 18:30 საათისა
დაფარვის დღეს კლიენტისთვის თანხის ჩარიცხვა მიმდინარე ანგარიშზე	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს დაფარვის დღის 18:00 საათისა)
კუპონის განაკვეთით გათვალისწინებული თანხის კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვა	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს კუპონის გადახდის დღის 18:00 საათისა)

პირველად აუქციონზე ვაჭრობის მომსახურების საკომისიო შედგება ფიქსირებული და ცვლადი ნაწილებისგან. ფიქსირებული ნაწილი უცვლელია, მიუხედავად კონკრეტული გარიგების მოცულობისა. ცვლადი ნაწილი დამოკიდებულია შეძენილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობაზე. ფასდადებისას ბანკი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ბანკის მოგება, საკრედიტო რისკი, ვაჭრობის საოპერაციო ხარჯები და სხვა.

განთავსებული განაცხადის სისწორეზე პასუხისმგებელია კლიენტი. განაცხადის კორექტირება არ ხორციელდება. მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გაკეთებული განაცხადის გაუქმება და დაარეგისტრიროს ახალი განაცხადი. განაცხადის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, საკომისიოს ფიქსირებული ნაწილი არ ექვემდებარება კლიენტისთვის დაბრუნებას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ბანკთან, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველად დილერთან

კლიენტს შეუძლია ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებული ფასიანი ქაღალდები შეიძინოს ან გაასხვისოს მეორად ბაზარზე.

ბანკის მიერ ვაჭრობის მიზნით შერჩეული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: <https://www.cartubank.ge/ge/619/>

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტი ვალდებულია ბანკში იქონიოს ეროვნულ ვალუტაში გახსნილი მიმდინარე ანგარიში და ხელი მიუწვდებოდეს წინასწარ შეთანხმებულ კომუნიკაციის საშუალებებზე, მათ შორის საკომუნიკაციოდ განსაზღვრულ სავალდებულო არხ, ინტერნეტ ბანკზე.

კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი წინასწარ განსაზღვრული ფორმით, არაუგვიანეს ბანკის საოპერაციო დღის 17:00 საათისა. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგი

სახის ინფორმაციას: შესაძენი/გასასხვისებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დასახელება (ISIN), ვადიანობა, რაოდენობა და ფასი.

ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მოთხოვნის მიღებასა და შესრულებაზე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

განაცხადის წარდგენის დროს, კლიენტის შესაბამის მიმდინარე ანგარიშზე უნდა იყოს შესყიდვის ფასის შესაბამისი თანხა, ან გასხვისების შემთხვევაში, კლიენტი ბანკში უნდა ფლობდეს შესაბამის ფასიან ქაღალდს. კლიენტის ანგარიშზე თანხის არარსებობის ან განაცხადში მითითებული ფასიანი ქაღალდის არქონის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკისგან ყიდულობს ან ყიდის ვებ-გვერდზე განთავსებულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, ანგარიშსწორება მოხდება ბანკის მიერ განაცხადის დადასტურებიდან 30 წუთის განმავლობაში. კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან უაქცეპტო წესით მოხდება თანხის ჩამოჭრა, ხოლო ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე მოხდება შესაბამისი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ასახვა. გასხვისების შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდებისთვის განკუთვნილი ანგარიშიდან, უაქცეპტო წესით მოხდება ფასიანი ქაღალდების გადატანა ბანკის ანგარიშზე, კლიენტს კი მიმდინარე ანგარიშზე ჩაერიცხება შესაბამისი თანხა. აღნიშნული ოპერაციის განხორციელებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, კლიენტი მიიღებს შეტყობინებას ოპერაციის დასრულების შესახებ.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს მიღებული თანხის კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვას უზრუნველყოფს ბანკი, ამასთანავე, სახაზინო ობლიგაციების შემთხვევაში, ანალოგიურად მიმდინარე ანგარიშზე ჩაირიცხება შესაბამისი კუპონის განაკვეთით განსაზღვრული თანხა.

ოპერაცია	ოპერაციის განხორციელების სავარაუდო დრო
მიღებული განაცხადის ბანკის მიერ დადასტურება	შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 15 წუთი
ანგარიშსწორება	განაცხადის დადასტურებიდან არაუგვიანეს 30 წუთისა
ოპერაციის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	ანგარიშსწორების დასრულებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა
დაფარვის დღეს კლიენტისთვის თანხის ჩარიცხვა მიმდინარე ანგარიშზე	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს დაფარვის დღის 18:00 საათისა)
კუპონის განაკვეთით გათვალისწინებული თანხის კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვა	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს კუპონის გადახდის დღის 18:00 საათისა)

განთავსებული განაცხადის სისწორეზე პასუხისმგებელია კლიენტი. განაცხადის კორექტირება არ ხორციელდება. მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გაკეთებული განაცხადის გაუქმება და დაარეგისტროს ახალი განაცხადი.

მეორად ბაზარზე ვაჭრობის მომსახურების წესები

კლიენტს, შეუძლია ბანკს მისცეს დავალება, რომ სასურველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის შეძენა ან გასხვისება მოახდინოს მეორად ბაზარზე, მისი სახელით.

ბანკი კლიენტის დავალების აღსრულებისას მოქმედებს სამართლიანად, გამჭვირვალედ და კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით. სამართლიანი და გამჭვირვალე მოქმედება, მათ შორის მოიცავს გარიგების დროულ/სწრაფ აღსრულებას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტი ვალდებულია ბანკში იქონიოს ეროვნულ ვალუტაში გახსნილი მიმდინარე ანგარიში და ხელი მიუწვდებოდეს წინასწარ შეთანხმებულ კომუნიკაციის საშუალებებზე, მათ შორის საკომუნიკაციოდ განსაზღვრულ სავალდებულო არხ, ინტერნეტ ბანკზე.

კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს განაცხადი წინასწარ განსაზღვრული ფორმით, არაუგვიანეს ბანკის საოპერაციო დღის 17:00 საათისა. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: შესაძენი/გასასხვისებელი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დასახელება (ISIN), ვადიანობა, რაოდენობა და ფასი.

ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მოთხოვნის მიღებასა და შესრულებაზე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ბანკი ბლუმბერგის პლატფორმის გამოყენებით შეეცდება კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე შეიძინოს/გაასხვისოს მოთხოვნილი რაოდენობა მაქსიმალურად მისაღებ ფასად, კლიენტის მიერ განაცხადში მითითებული ფასის საზღვრების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენის განაცხადის წარდგენის დროს, კლიენტის შესაბამის მიმდინარე ანგარიშზე უნდა იყოს შესყიდვის მაქსიმალური ფასის შესაბამისი თანხა და ოპერაციის აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო საკომისიო, რომელიც დაიჯავშნება ბანკის მიერ ოპერაციის შესრულებისთვის განსაზღვრული უზრუნველყოფის სახით (ბანკი მოახდენს სრული თანხის გადატანას ოპერაციის უზრუნველყოფის ანგარიშზე). ანგარიშზე თანხის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გასხვისების განაცხადის წარდგენის დროს, კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე უნდა იყოს, განაცხადში მითითებული გასასხვისებელი სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდი შესაბამისი რაოდენობით. ამასთანავე, მიმდინარე ანგარიშზე უნდა იყოს ოპერაციის აღსრულებასთან დაკავშირებული შესაძლო საკომისიო. ოპერაციის დაწყებამდე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დაიჯავშნება ბანკის მიერ ოპერაციის

შესრულებისთვის განსაზღვრული უზრუნველყოფის სახით, ასევე მოხდება საკომისიოსთვის გათვალისწინებული თანხის გადატანა ოპერაციის უზრუნველყოფის ანგარიშზე. ანგარიშზე საკმარისი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან თანხის არარსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმებულად ჩაითვლება.

კლიენტი აცნობიერებს, რომ ბაზარზე განაცხადის წარდგენის მომენტში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლოა განაცხადი ნაწილობრივ ან საერთოდ არ დაკმაყოფილდეს.

შესაბამისი დავალების შესრულებიდან არაუგვიანეს 30 წუთის განმავლობაში, კლიენტი მიიღებს შეტყობინებას ინტერნეტ ბანკისა და სმს-ის საშუალებით მისი განაცხადის სტატუსისა და დაკმაყოფილებული მოცულობის შესახებ. ანგარიშსწორების დღეს ბანკი უზრუნველყოფს დაკმაყოფილებული ნაწილის შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას უაქცეპტო წესით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაფარვის დღეს მიღებული თანხის კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვას უზრუნველყოფს ბანკი, ამასთანავე, სახაზინო ობლიგაციების შემთხვევაში, ანალოგიურად მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხება შესაბამისი კუპონის განაკვეთით განსაზღვრული თანხა.

იმ შემთხვევაში, თუ მეორად ბაზარზე განაცხადით მოთხოვნილი მოცულობა ნაწილობრივ ან საერთოდ არ შესრულდა, უზრუნველყოფის თანხა ან შესაბამისი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები სავალდებულო წესით დაუბრუნდება კლიენტს მიმდინარე ანგარიშზე, არაუგვიანეს 18:30 საათისა.

თუ მეორად ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენის შემდეგ უზრუნველყოფის ანგარიშზე დარჩება შესყიდვის ფასსა და უზრუნველყოფის თანხას შორის სხვაობა, სავალდებულო წესით დაუბრუნდება კლიენტს მიმდინარე ანგარიშზე, არაუგვიანეს 18:30 საათისა.

ოპერაცია	ოპერაციის განხორციელების სავარაუდო დრო
მიღებული განაცხადის ბანკის მიერ დადასტურება	შესაბამისი განაცხადის მიღებიდან 30 წუთი;
განაცხადით მოთხოვნილი ოპერაციის კონტრაქტის ბლუმბერგის პლატფორმაზე მოძიება	განაცხადის დადასტურებიდან არაუგვიანეს 1 საათისა;
შედეგების შეტყობინება	შესაბამისი ფასიანი ქაღალდების შეძენიდან/გასხვისებიდან არაუგვიანეს 30 წუთისა;
კლიენტის მოთხოვნით განაცხადის გაუქმების მიზეზით უზრუნველყოფის	შესაბამისი განაცხადის ბანკის მიერ დადასტურებიდან 15 წუთი;

ანგარიშიდან თანხის/სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების უკან დაბრუნება	
განაცხადის შეუსრულებელ ნაწილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნაშთის უკან დაბრუნება	არაუგვიანეს საოპერაციო დღის 18:30 საათისა;
დაფარვის დღეს კლიენტისთვის თანხის ჩარიცხვა მიმდინარე ანგარიშზე	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს დაფარვის დღის 18:00 საათისა);
კუპონის განაკვეთით გათვალისწინებული თანხის კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვა	ბანკის მიერ შესაბამისი ჩარიცხვის მიღებიდან 1 საათი; (არაუგვიანეს კუპონის გადახდის დღის 18:00 საათისა);

მეორად აუქციონზე ვაჭრობის მომსახურების საკომისიო შედგება ფიქსირებული და ცვლადი ნაწილებისგან. ფიქსირებული ნაწილი უცვლელია, მიუხედავად კონკრეტული გარიგების მოცულობისა. ცვლადი ნაწილი დამოკიდებულია შეძენილი ფასიანი ქაღალდების რაოდენობაზე. ფასდადებისას ბანკი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ბანკის მოგება, საკრედიტო რისკი, ვაჭრობის საოპერაციო ხარჯები და სხვა.

განთავსებული განაცხადის სისწორეზე პასუხისმგებელია კლიენტი. განაცხადის კორექტირება არ ხორციელდება. მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გაკეთებული განაცხადის გაუქმება და დაარეგისტრიროს ახალი განაცხადი. განაცხადის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, საკომისიოს ფიქსირებული ნაწილი არ ექვემდებარება კლიენტისთვის დაბრუნებას.

დავები

აღნიშნული პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს შესაბამის სამსახურს <https://www.cartubank.ge/ge/588/momxmarelis-dacva>, ან საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური განათლების დეპარტამენტს, cp@nbg.gov.ge ან ცხელი ხაზის 2-406-406 მეშვეობით.